

წესები და პირობები

1. ზოგადი დებულებები

- 1.1 ვებ-გვერდი და ამ ვებ-გვერდით უზრუნველყოფილი ინტერნეტ-მომსახურება განეკუთვნება და კონტროლდება სს საქართველოს საფონდო ბირჟის მიერ (შემდგომში GSE საფონდო ბირჟა / ჩვენ) რომელიც არის საქართველოს კანონმდებლობის თანახმად შექმნილი სააქციო საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომრით: 211382145, იურიდიული მისამართით: ჭავჭავაძის გამზ. 74, თბილისი, საქართველო, ფაქტიური მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზ. მე -10 კორპუსი, მე -7 სართული, თბილისი, 0186, საქართველო.
- 1.2 წინამდებარე პირობები (პირობები) ვრცელდება ამ ვებ-გვერდზე რეგისტრირებულ ყველა მომხმარებელზე. GSE უზრუნველყოფს უფასო და ფასიანი ონლაინ მომსახურებას (პაკეტებს, რომლებსაც მომხმარებელი რეგისტრაციისას ირჩევს), და საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, მიიღონ და წვდომა ჰქონდეთ საქართველოს კაპიტალის ბაზარზე არსებულ სხვადასხვა სახის ინფორმაციაზე, მათ შორის ფასიან ქალაქებზე, რომლებიც აქ ივაჭრება და ბაზრის მონაწილეებზე. **არა საინვესტიციო რჩევები:** ვებ-გვერდი და აქ მოცემული ნებისმიერი შინაარსი არ წარმოადგენს რაიმე რჩევის შეთავაზებას რომელიმე კონკრეტულ საკითხზე და არ გულისხმობს რაიმე სახის რეკომენდაციას. კერძოდ, შინაარსი არ წარმოადგენს პროფესიულ, ფინანსურ, ან საინვესტიციო რჩევას და არ უნდა იქნას გამოყენებული, როგორც საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ბაზრის მხრიდან რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტის გაყიდვის პირდაპირ, ან არაპირდაპირ მცდელობას. სათანადოდ კვალიფიციურ პროფესიონალთა რჩევა ყოველთვის უნდა ჩაითვალოს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული საკითხის მიზნებისთვის.
- 1.3 GSE-ის ვებ-გვერდზე რეგისტრაციის დასრულებისას თქვენ ("მომხმარებელი") ეთანხმებით ამ წესებისა და პირობების დაცვას.
- 1.4 GSE-ს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეცვალოს მოცემული წესები და პირობები, რომლებიც გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე.
- 1.5 GSE-ს მიერ ცვლილებების განხორციელების შესახებ ინფორმაცია აისახება ვებ-გვერდზე „წესები და პირობები“-ს ზემოთ „ბოლო განახლების“ თარიღის ცვლილების გზით, ან GSE-ს გადაწყვეტილებით სხვა წყაროს საშუალებით.
- 1.6 ნებისმიერი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ვებ-გვერდზე მათი გამოქვეყნებისთანავე დაუყოვნებლივ შედის ძალაში.

- 1.7 თქვენ უარს აცხადებთ ისეთი უფლებით სარგებლობაზე, რომ თქვენ სპეციალურად მიიღებთ ასეთ ცვლილებებს ან მოდიფიკაციებს. თქვენს მიერ ვებ-გვერდით სარგებლობის გაგრძელებით, თქვენ უპირობოდ ეთანხმებით ამ ცვლილებებსა და მოდიფიკაციებს. თუ არ ეთანხმებით შეცვლილ / მოდიფიცირებულ პირობებს, თქვენ უნდა შეწყვიტოთ ვებ-გვერდის მოხმარება.
- 1.8 GSE არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი მესამე პირის ვებ-გვერდზე მოცემულ შინაარსზე (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი რეკლამის გამოჩენის შემთხვევაზე), რომელიც ხელმისაწვდომი გახდება ამ ვებ-გვერდის გზით. GSE-ს ვებ-გვერდი შეიძლება მოიცავდეს სხვა ვებ-გვერდების ბმულებს მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და არ იძლევა გარანტიას ამგვარი ბმულების, ვებ-გვერდებისა და მათი შინაარსის შესახებ.

2. რეგისტრაცია

- 2.1 ვებ-გვერდის იმ ნაწილზე, სადაც თქვენი დარეგისტრირებაა საჭირო, იმისათვის, რომ ისარგებლოთ მომსახურებით, თქვენ ვალდებული ხართ მიუთითოთ ზუსტი და სრული სარეგისტრაციო ინფორმაცია. თქვენი პასუხისმგებლობაა, რომ განაახლოთ თქვენს შესახებ ნებისმიერი ცვლილება. ამისათვის, მიმართეთ ვებ-გვერდის "ჩემი გვერდი - პროფილი" (ENG: "My Page - Profile") განყოფილებას, სადაც შეგიძლიათ შეცვალოთ ან შეასწოროთ, თქვენი პირადი ინფორმაცია.
- 2.2 თითოეული რეგისტრაცია ხორციელდება მხოლოდ ერთი მომხმარებლისთვის. რეგისტრაციისას თქვენ უნდა მიუთითოთ ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი. ჩვენ არ დავუშვებთ (ა) ნებისმიერი სხვა პირის მიერ თქვენი ელ ფოსტის მისამართის ან / და პაროლის გამოყენებას, ან (ბ) რამდენიმე მომხმარებლის წვდომას ერთი მომხმარებლის სახელისა და პაროლის ქვეშ. GSE სარეგისტრაციო ველებზე თქვენს წვდომას დაუშვებს, თუ:
- ელ-ფოსტის მისამართი და პაროლი პირადად თქვენ გეკუთვნით და სხვა მას ვერ იყენებს;
 - არ დაუშვებთ, რეგისტრაციის გარეშე სხვა პირს წვდომა ჰქონდეს ვებ-გვერდის სარეგისტრაციო ველებზე;
 - თქვენ იცავთ წესებსა და პირობებს.
- 2.3 როდესაც თქვენ დარეგისტრირდებით ვებ-გვერდზე მომხმარებლად, თქვენ ვალდებული ხართ მონიშნოთ ფანჯარა, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ თქვენ წაიკითხეთ, გაიგეთ და დაეთანხმეთ პირობებს. თქვენ ვერ დაასრულებთ რეგისტრაციას მანამ, სანამ არ მონიშნავთ, რომ ეთანხმებით წესებს და პირობებს.
- 2.4 GSE ინარჩუნებს აბსოლუტურ უფლებას თავისი შეხედულებისამებრ შეგიზღუდოთ ვებ-გვერდზე წვდომა, თუ მიიჩნევს, რომ თქვენ ეწინააღმდეგებით მისთვის მისაღებ ქვემოთმოცემულ პოლიტიკას და ამ წესების რომელიმე პირობას.

3. რეგისტრაციის გაუქმება

- 3.1 თუ გსურთ რეგისტრაციის და პაროლის გაუქმება, გთხოვთ: გამოგზავნეთ ელ-ფოსტის მისამართზე: info@gse.ge ტექსტი "გააუქმეთ ჩემი ანგარიში". გთხოვთ, დეტალურად მიუთითოთ ანგარიშის სრულად გაუქმება გსურთ, თუ ელ-ფოსტის შეტყობინებების გაუქმება.
- 3.2 მას შემდეგ, რაც GSE მიიღებს ელ.ფოსტა, ან თქვენვე შეცვლით თქვენი ანგარიშის დეტალებს, GSE გონივრულ ვადაში გააუქმებს თქვენს პაროლს და თავისი ჩანაწერებიდან წაშლის (შეინახავს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში) თქვენს მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილ ინფორმაციას.

4. უსაფრთხოების პოლიტიკა

- 5.1 იმისათვის, რომ დარეგისტრირდეთ და ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით GSE-ს უფლებამოსილია შეაგროვოს, შეინახოს, გამოიყენოს, დაამუშაოს და გაამჟღავნოს თქვენი პერსონალური ინფორმაცია, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:
- თქვენი სახელი
 - ელ-ფოსტის მისამართი;
 - სხვა საკონტაქტო ინფორმაცია (მათ შორის, ტელეფონის ნომერი და საფოსტო მისამართი);
 - სამუშაო ადგილი;
 - დამსაქმებელი;
 - სამუშაო საკონტაქტო ინფორმაცია (მათ შორის, სამუშაო ადგილის საკონტაქტო მონაცემები და მისამართი);
 - დაბადების თარიღი;
 - ფინანსური ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა გაფორმდეს ხელშეკრულება);
 - თქვენი ფოტოსურათი;
 - პროფესიული გამოცდილება, სხვა კარიერასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
 - თქვენი პირადობის მოწმობა, ან პასპორტი.
- 5.2 თქვენს მიერ ვებ-გვერდით სარგებლობა და მასთან დაკავშირებული ონლაინ მომსახურება მოიცავს გარკვეული ტიპის ინფორმაციის ავტომატურ მოპოვებას, რომელთა ნაწილი შეიძლება განიხილებოდეს პერსონალურ ინფორმაციად შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად. ეს ინფორმაცია მოიცავს:
- IP მისამართს;
 - browser-ის ტიპს და;
 - საოპერაციო სისტემას.

5.3 ჩვენ შევავროვებთ მხოლოდ იმ ინფორმაციას, რომელიც ჩვენთვის აუცილებელია რათა გაგიწიოთ თქვენთვის სასურველი მომსახურება. ინფორმაციის სახეობა, რომელიც შეიძლება მოვიპოვოთ, დამოკიდებულია მომსახურებასა და პროდუქტზე;

5.4 პირადი ინფორმაციის გამჟღავნება:

- ჩვენი პროდუქტების მოწოდებისა და მომსახურების გაწევის ფარგლებში ამ პროდუქტებისა და მომსახურების მონიტორინგისა და მარეგულირებლის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით, ჩვენ შესაძლოა თქვენი პირადი და თქვენი ანგარიშის შესახებ ინფორმაცია გადავცეთ შემდეგ მესამე პირებს:
 - კომპანიებს და ორგანიზაციებს, რომლებიც მოქმედებენ, როგორც ჩვენი წარმომადგენლები, პარტნიორები და / ან პროფესიონალი მრჩევლები;
 - კომპანიებს და ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტრანზაქციების პროცესს, ან სხვაგვარად მოჰყავთ სისრულეში თქვენს მიერ სასურველი მომსახურება;
 - სამართალდამცავ ორგანოებს, მარეგულირებელ და სამთავრობო უწყებებს;
 - თქვენს მრჩევლებს (მათ შორის, მაგრამ არამარტო ბუღალტერებს, აუდიტორებს, ადვოკატებს, ფინანსურ მრჩევლებს, ან სხვა პროფესიონალ კონსულტანტებს), რომლებსაც თქვენს მიერ აქვთ მინიჭებული ასეთი უფლებამოსილება.
 - თქვენს მიერ მითითებულ და ავტორიზებულ ნებისმიერ სხვა პირ, რომელიც უფლებამოსილია თქვენს ნაცვლად ისარგებლოს ანგარიშებით, პროდუქტებითა და მომსახურებით.

5.5 ზემოხსენებული მესამე პირები შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში იყვნენ თქვენი ქვეყნის გარეთ. სხვა შემთხვევებში, ჩვენ თქვენს პირად ინფორმაციას ჩავთვლით, როგორც პერსონალურს და კონფიდენციალურს, რომლის გამჟღავნებაც GSE-ს გარეთ არ დავუშვებთ გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

- გვაქვს თქვენი ნებართვა;
- ჩვენ კანონით გვაქვს ამის ვალდებულება, ან ნებართვა.
- ეს მოგვეთხოვება სასამართლოს, უფლებამოსილი სხელმწიფო, ან საქვეუწყებო ორგანოს დავალებით;
- შეგვიძლია უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად;
- როდესაც ჩვენ ვალდებულება გავაჩნია შესაბამისი უწყების წინაშე (ქვეყნის შიგნით, ან მის ფარგლებს გარეთ)

5. სარგებლობის მისაღები ფორმა

- 5.1 თქვენ ეთანხმებით, რომ ვებ-გვერდზე არსებული ყველა მასალა და ელ-ფოსტიდან, ან ნებისმიერი სხვა ფორმით გადმოცემული, ან ვებ-გვერდთან დაკავშირებული ნებისმიერი მათ შორის ტექსტი, მონაცემები, გრაფიკა, ფოტოსურათები, სახელები, ლოგოები, სასაქონლო ნიშნები და ინფორმაცია ("შინაარსი") ეკუთვნის ჩვენი ქსელის მფლობელებს და GSE-ს.
- 5.2 თქვენ ეთანხმებით, რომ დაიცვათ მოქმედი კანონმდებლობა, ყველა რეგლამენტი და ქცევის კოდექსი და უზრუნველყოთ, რომ თქვენს მიერ ატვირთული, გავრცელებული, ან შენახული ნებისმიერი ინფორმაცია არ დაარღვევს სხვა პირთა უფლებებს.
- 5.3 ვებ-გვერდზე წვდომისას, თქვენ ეთანხმებით, რომ:
- არ გააყალბებთ სახელს, ან არ შექმნით ყალბ საიდენტიფიკაციო მონაცემს, ან ელ-ფოსტას, და არ ეცდებით შეცდომაში შეიყვანოთ სხვები მაიდენტიფიცირებელი და წარმომავლობის ინფორმაციის გაყალბებით.
 - არ გაასაჯაროებთ ან ატვირთავთ ისეთ ფაილებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას სხვის საკუთრებაში არსებულ მონაცემებზე და მათგან არ მიგიღიათ თანხმობა ამ ინფორმაციის გამოყენების შესახებ (მაგ: სახელები / მისამართები);
 - არ დააზიანებთ, ჩაერევით, ან ხელს შეუშლით ვებ-გვერდის ხელმისაწვდომობაში, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს, ან შეაფერხოს მისი ფუნქციონირება;
 - არ გამოაქვეყნებთ, გავრცელებთ, ან სხვაგვარად გადასცემთ ცილისმწამებლურ, შეურაცხმყოფელ, უხამს, ან სხვა უკანონო ინფორმაციას;
 - გამოაქვეყნებთ, ან ატვირთავთ ნებისმიერ მასალას, რომელიც შეიცავს ვირუსებს, ხარვეზებს, პირატულ მონაცემებს, ან სხვა მავნე პროგრამულ საშუალებებს;
 - ეცდებით ვებ-გვერდზე წვდომას არასანქცირებული კომპიუტერული სისტემების მეშვეობით.
- 5.4 ვებ-გვერდიდან შესაძლებელია შინაარსის შემცველი გარკვეული ფაილების ჩამოტვირთვა. ასეთი ფაილები ექვემდებარება ამ წესებს.
- 5.5 GSE იტოვებს უფლებას თავისი ინიციატივით, ან საჭიროების შემთხვევაში, კანონის, ან მარეგულირებლის, ან სხვა აღმასრულებელი უწყებების მოთხოვნით ნებისმიერი ინფორმაცია / მასალა ამოშალოს, ან დაამატოს რაიმე ზიანის ანაზღაურების უფლების გარეშე.
- 5.6 GSE არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ტექნიკური, თუ სხვა ისეთი პრობლემების წინაშე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას თქვენს მიერ პროგრამული უზრუნველყოფის გადმოტვირთვის, ან განახლების დროს, რომლითაც ცდილობთ ვებ-გვერდით სარგებლობის გაუმჯობესებას.

6. შეჩერება, მომსახურების შეწყვეტა

- 6.1 ფორსმაჟორული მოვლენები: ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი (ა) ნებისმიერი ხარვეზის, დაგვიანების, ან უმოქმედობის შესახებ; (i) ნებისმიერი ინფორმაციის, ან (ii) ინფორმაციის გადაცემის / მიწოდების, ან ბ) გონივრული კონტროლის მიღმა წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგისა და ზიანის ანაზღაურებაზე, თუ აღნიშნული გამოწვეულია წყალდიდობის, განსაკუთრებული უამინდობის, მიწისძვრის, ან სხვა მოქმედების, ხანძრის, ომის, ამბოხების, გაფიცვის, მთავრობის მოქმედების, კომუნიკაციების / ელექტროენერჯის უკმარისობის, ან აღჭურვილობის, ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობის, ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც გონივრულ კონტროლს არ ექვემდებარება (თითოეული, "ფორსმაჟორული მოვლენა").
- 6.2 ნებისმიერი (ზემოთ ჩამოთვლილი) ფორს-მაჟორული მოვლენის შემთხვევაში ვადის დარღვევისას, ან სხვა ნებისმიერი მოვლენის დადგომისას, რომელიც GSE-სათვის კომერციულად არახელსაყრელი იქნება, GSE უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეაჩეროს თქვენი ხელმისაწვდომობა მომსახურებაზე სრულად, ან ნაწილობრივ. აგრეთვე, უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ შეწყვიტოს მომსახურებაზე წვდომა დაუყოვნებლივ და წინასწარი გაფრთხილების გარეშე, წაშალოს, ან გააუქმოს თქვენი GSE-ის ანგარიში და ამ ანგარიშთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია და ფაილები პასუხისმგებლობის გარეშე, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არღვევთ ამ წესების რომელიმე პირობას. გარდა ამისა, ჩვენ შეიძლება, ჩვენი შეხედულებისამებრ და ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და წინასწარი გაფრთხილების გარეშე ნებისმიერ დროს, შევცვალოთ ან შევწყვიტოთ, დროებით ან მუდმივად, ჩვენი მომსახურების ნებისმიერი ნაწილი.

7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

პასუხისმგებელი მხარეები თავისუფლდებიან ყველა სახის ზიანის ანაზღაურებისგან, რომელიც წარმოქმნილია თქვენს მიერ მომსახურების მიღებით, ან მომსახურების მიღების შეუძლებლობით, ან GSE-ს მასალებით, მათ შორის და არამარტო რაიმე პირდაპირი, არაპირდაპირი, შემთხვევითი, თანმიმდევრული, ეკონომიკური, ან სხვა სახის ზიანით, ან დანაკარგით იმ შემთხვევაშიც კი, თუ პასუხისმგებელი პირი შესაძლო ზიანზე გაფრთხილებული იყო. წინამდებარე პასუხისმგებლობის შეზღუდვა დაექვემდებარება შესაბამისი კანონმდებლობით დაშვებულ შეზღუდვებს და მასზე სხვა იურისდიქციების კანონმდებლობით დაწესებული გამონაკლისები არ გავრცელდება. წესების ის ნაწილი, რომელზეც შესაძლოა სხვა იურისდიქციის კანონმდებლობა გავრცელდეს, არ ვრცელდება თქვენზე.

8. კომპიუტერული ვირუსები

მიუხედავად GSE-ს მცდელობისა, რომ ეს ვებ-გვერდი იყოს ვირუსებისგან თავისუფალი, GSE იხსნის პასუხისმგებლობას ყოველგვარი ზიანის წინაშე, რაც გამოწვეულია ვებგვერდიდან გადმოსული ვირუსებით, ან ნებისმიერი ფაილით, რომლის გადმოტვირთვის საშუალებაც ვებ-გვერდიდან მოგეცემათ

9. მარეგულირებელი სამართალი

თქვენს მიერ ვებ-გვერდზე წვდომა, მომსახურება და GSE-ს მიერ წარმოდგენილი მასალები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, გარდა კოლიზიური სამართლის ნორმებისა. ამ წესების თანახმად წარმოქმნილი ნებისმიერი დავა ექსკლუზიურად უნდა გადაეცეს და გადაწყდეს საქართველოს სასამართლოებში.

10. განცალკევებადობა

რომელიმე პირობის ბათილობა არ იწვევს სხვა პირობების ბათილობას და ისინი რჩება სრულ იურიდიულ ძალაში.